მოგზაურობა საქართველოში

სვანეთი

ათასი კოშკის მხარეში

ჯვარი - მესტია! - მარშრუტი, რომელიც ჩვენმა ჰოლანდიელმა ქართველებმა უნდა გაიარონ, ალბათ ერთ-ერთი ურთულესი და, ამავე დროს, ულამაზესია მსოფლიოში!

სვანეთისკენ მიმავალი გზა „საშიშია“... არა, საშიში პირდაპირი გაგებით სულაც არ არის - ჯერ კიდევ წინა საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ამ გზის გაყვანა. მისი **რეკონსტრუქცია** 1980-იან წლებში განხორციელდა, შესანიშნავი **ასფალტიანი** გზაა - კარგადაც უვლიან და უსიამოვნო საგზაო შემთხვევებიც კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა...

ლაშა და გიორგი აქეთ-იქით იყურებიან: მარჯვენა მხარეს გახედვა საშიშია - ძალიან მაღალზე გადის გზა... ხეობა ვიწროა და ღრმა. ქვემოთ, ხეობის ძირას, ენგური **მოქუხს...** ეს ის

ენგურია, რომელიც მწვერვალ შხარას ძირში იღებს სათავეს და 213 კილომეტრის გავლის შემდეგ, შავ ზღვას უერთდება... ეს ის ენგურია, რომლის სათავეებშიც ქართველების წინაპრები ცხვრის ტყავებით ოქროს მოიპოვებდნენ! სწორედ ეს ცხვრის ტყავები გახდა კოლხეთის ზღაპრული სიმდიდრის სიმბოლო და იასონიც სწორედ ამიტომ ესტუმრა კოლხეთის მეფე აიეტს - მოიტაცა ოქროს საწმისი და მეფის გრძნეული ასული მედეა!

სვანეთი საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი **ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა** და იგი დასავლეთ საქართველოს **ჩრდილო-დასავლეთ** ნაწილში მდებარეობს, **კავკასიონის ქედის**

სამხრეთ **კალთებზე. აღმოსავლეთით რაჭა** ესაზღვრება, **სამხრეთით** - **ლეჩხუმი** და სამეგრელო, დასავლეთით - **აფხაზეთი,** ჩრდილოეთით - **ყარაჩაი** და **ბალყარეთი.**

სვანეთი არა მარტო საქართველოში, არამედ - მთელ **კავკასიაში** ყველაზე მაღალ დასახლებულ რეგიონად ითვლება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კავკასიონის ქედი ამ ნაწილში უმაღლესია: 10 უმაღლესი **მწვერვალი** სწორედ სვანეთში მდებარეობს. მათ შორისაა საქართველოს უმაღლესი მწვერვალი შხარა (5 201 მ), თეთნულდი (4 974 მ), შოთა რუსთაველი (4 960 მ), უშბა (4 710 მ), აილამა (4 525 მ) და სხვა.

მწვერვალები, **ქარაფები,** ციხე-კოშკები, რომლებიც თავისუფლებისა და ძლიერი სულის სიმბოლოა დღეს, დიდი ხანია მოგზაურების, **დამსვენებლებისა** თუ **სამთო სპორტის** მოყვარულების **ყურადღებას იპყრობს.** საქართველოს ეს უძველესი კუთხე ძალიან საინტერესოა მრავალრიცხოვანი კულტურის ძეგლებით, წეს-ჩვეულებებითა და მრავალფეროვანი, **შთამბეჭდავი** ბუნებით.

სვანეთი ორ ნაწილად იყოფა - ზემო და ქვემო სვანეთად. სვანეთის ეს ორი ნაწილი ქედითაა ერთმანეთისგან გაყოფილი და ეს ბუნებრივი საზღვარი გახდა იმის მიზეზი, რომ ამ ორ მხარეს შორის საკმაოდ დიდია სხვაობა... ზემო სვანეთი უფრო **იზოლირებულია.**



სწორედ იზოლაციამ იქონია გავლენა **იდენტობისა** და ისტორიული მნიშვნელობის შენარჩუნებაზე. ზემო სვანეთი, თავისი ისტორიული ცენტრით - **მესტიით** და ქვემო სვანეთი - ცენტრით **ლენტეხით.**

საინტერესოა სვანეთის **ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა:** ეს, არცთუ ისე დიდი კუთხე (სვანეთში სულ 18000 მოსახლეა) ორ **ადმინისტრაციულ ერთეულშია** გადანაწილებული.

ზემო სვანეთი შედის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რომლის ცენტრიც ქალაქი ზუგდიდია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები, ხოლო სამხრეთით – გურიის რეგიონი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის **ფართობია** 7,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 10,8%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 330 761 ადამიანია. მხარეში შედის 498 დასახლებული პუნქტი – 9 ქალაქი, 1 დაბა და 487 სოფელი. მხარის მოსახლეობის 40,3% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 59,7% - სოფლებში. მოსახლეობის 98,6% ეთნიკურად ქართველია. მოსახლეობის სიმჭიდროვე მხარის ტერიტორიაზე შეადგენს 64 ადამიანს კვ.კმ-ზე. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედებს 9 ადმინისტრაციული ერთეული: ქალაქ ფოთის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტები. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, რომლის ადმინისტრაცია ქ. ზუგდიდშია განთავსებული. ქ. ზუგდიდი დედაქალაქიდან 325 კმ-ით არის დაშორებული.

რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ხასიათდება **სუბტროპიკული** კლიმატით, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი – **სუბალპური** და ალპური კლიმატით. რეგიონი მოიცავს კოლხეთის დაბლობს, რომელიც ხასიათდება **ჭარბად** ნოტიო სუბტროპიკული ჰავით და განიცდის შავი ზღვის ძლიერ გავლენას.

ქვემო სვანეთი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში შედის. ეს მხარე დასავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის (ნაწილობრივ) ტერიტორიებს. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე შედგება სამი ისტორიული რეგიონისგან რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. რაჭის მევენახეობა-მეღვინეობის მხარე დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და მოიცავს **ამბროლაურის მუნიციპალიტეტის** დიდ ნაწილს

და **ონის** მუნიციპალიტეტს. ვენახები აქ მდინარე რიონის და მისი **შენაკადების** ხეობებშია გაშენებული, რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე. ჩრდილო-დასავლეთით რაჭას ქვემო სვანეთი ესაზღვრება, ჩრდილოეთით – ოსეთი, აღმოსავლეთით – შიდა ქართლი, სამხრეთით – იმერეთი, დასავლეთით – ლეჩხუმი.

მხარის ფართობი შეადგენს 4954 კვ.კმ–ს, მოსახლეობა — 32 089 ადამიანს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე — 6,48 კაცს. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ამბროლაური. მხარეში 256 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 3 ქალაქი, (ამბროლაური, ონი, ცაგერი); 2 დაბა (ლენტეხი, ხარისთვალა) და 251 სოფელი.

ქვემო სვანეთი შეიცავს **ცხენისწყლის** ხეობას სათავიდან მურის ხიდამდე. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ზემო სვანეთი, ხოლო სამხრეთით - ლეჩხუმი. ზემო სვანეთისგან იგი გამოყოფილია სვანეთის ქედითა და **ლატფარის ზეკარით**.

„ათასი კოშკის მიწა“, - ასე უწოდებენ სვანეთს... ეს დიდებული მხარე კვლავაც აგრძელებს უცხოელების გაოცებას. სვანეთზე იწერება ცნობილ უცხოურ გამოცემებში, აქ ეპატიჟებიან ტურისტებს, რომლებსაც **ექსტრემალური** გარემო, **მძაფრი** შეგრძნებები, ველური ბუნება იზიდავთ...

არ აქვს მნიშვნელობა, აქ რისთვის, რა მიზნით მოდიხარ: სვანეთი ერთნაირად **მიმზიდველია** კულტურით დაინტერესებული ადამიანებისთვისაც, მოლაშქრეებისთვისაც, ალპინისტებისთვისაც, მოთხილამურეებისთვისაც და უბრალოდ მთაში დასვენების მოყვარულებისთვის.

გიორგი და ლაშა უბრალო ტურისტები არ არიან! სვანეთში ისინი განსაკუთრებული მიზნით მიემგზავრებიან! ჯერ კიდევ ბათუმის ბანაკში ყოფნისას, ახლად დამეგობრებულმა სვანმა დიტო ხერგიანმა ბიჭები **ზესხოს** ალპინისტურ ბანაკში დაპატიჟა... სექტემბერში აქ ალპინიადები იმართება, სადაც დამწყებ ალპინისტებს **მთამსვლელობის ანაბანას** ასწავლიან... ლაშა და გიორგი ჯერ პატარები არიან, მათ მწვერვალზე ვერ წაიყვანენ, მაგრამ 3 დღით ალპინისტთა ბანაკში ყოფნა იმდენად საინტერესო წინადადება იყო, რომ ბიჭებმა მშობლები ლამის შეჭამეს! სხვა რა გზა იყო - ისინიც ბოლოს დათანხმდნენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინიც წაჰყვებოდნენ შვილებს სვანეთში.

როგორც ყველა ქართველს - დიტო ხერგიანსაც სტუმარი საკუთარ თავს ურჩევნია! დიტომ ბათუმიდანვე შეატყობინა მშობლებს, რომ 27 აგვისტოს ძვირფასი სტუმრები ეყოლებოდა. ახლა **გულის ფანცქალით** ელოდება დიტო ლაშას, გიორგისა და მისი მშობლების მესტიაში ჩასვლას.

ჯვარი-მესტიის გზა მთლიანად ენგურის ხეობას მიუყვება. სხვანაირად გზას ვერც გაიყვანდნენ - ირგვლივ უზარმაზარი მთები და კლდეებია. სოფლებიც ნაკლებადაა ამ გზაზე - პირველი მოზრდილი სოფელი ხაიშია, რომელიც შედარებით ფართო ხეობაშია გაშლილი... ხაიშის ზემოთ სოფლები მატულობს და უკვე იგრძნობა, რომ

სვანეთში ხარ! ბიჭებმა ყური მოკრეს მათთვის გაუგებარ ენაზე ნათქვამ საუბარსაც... სვანებს ხომ საკუთარი ენაც აქვთ!

2 საათზე მეტი ხანი მოანდომეს ენგურის წყალსაცავიდან მესტიამდე გზას. აი, გამოჩნდა სვანეთის გულიც - მესტია - ულამაზესი კოშკებით, გარშემო თოვლიანი მწვერვალებით, რაღაცნაირი, **გოროზი** ბუნებით!

სოფლის ცენტრში დიტო თავის მშობლებთან ერთად ელოდებოდა სტუმრებს. **მონატრებული** მეგობრები ერთმანეთს ჩაეხუტნენ, მშობლები მიესალმნენ ერთმანეთს და იქვე, ცენტრში მდებარე სვანური კოშკისკენ გაეშურნენ. დიახ, ეს კოშკი მათი ოჯახის კუთვნილებაა! რა თქმა უნდა, კოშკში დღეს აღარავინ ცხოვრობს, გვერდით მშვენიერი თანამედროვე ორსართულიანი სახლია აშენებული, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია: სვანური კოშკები ამა თუ იმ გვარის კუთვნილებაა..

დაღლილ-დაქანცული ბიჭები და მათი მშობლები დასასვენებლად მათთვის მომზადებულ ოთახებში **მიაბრძანეს.** დიტოს ძალიან უნდოდა, ბიჭებისთვის სამეგრელოში

მოგზაურობის ამბავი გამოეკითხა, მაგრამ მშობლებმა ნება არ დართეს: - აცალე ბავშვებს, ამხელა გზა გამოიარეს, დაისვენონო. საღამოსთვის სუფრასაც გაუშლიან სტუმრებს და ერთმანეთს კარგად მოიკითხავენ!

ახლად გაღვიძებულ ბიჭებს **უგემრიელესი სუნი ეცათ...** ძალიან მოშიებოდათ ამხელა გზის მერე... თანაც - აქ ისეთი ჰაერია, სულ გშია და ჭამა გინდება!

სუფრა ქვემოთ, მისაღებში გაეშალათ ხერგიანებს. ძალიან მოინდომეს, რომ ევროპიდან ჩამოსული სტუმრებისთვის სვანური **სუფრის მადლი** დაენახვებინათ. რას არ ნახავდი აქ: სვანური სულგუნი სულგუნი (ძროხის ყველი), **კაარზი** – გადაზელილი (რძეში მოხარშული) ყველი პიტნით, ხაჭაპური – პურის ცომში გამომცხვარი ყველი, მჭადის

ფქვილში **(ჭიშდვარი)** ან ფეტვის ფქვილში **(ჭკუტი)** შეზელილი ყველის კვერი, **კუბდარი** – პურის ცომში ჩაშუშული წვრილად დაკეპილი ხორცი, **შამი** – სიმინდის ბურღულის ფაფა, შიგ ჩალაგებული სულგუნის ნაჭრებით, **თაშმიჯაბი** – ყველის და კარტოფილის შეზელილი პიურე, ჭადი – სიმინდის კვერი და სხვა.

სუფრას არ აკლდა სვანეთში მეტად გავრცელებული **ფხალეულიც:** მინდვრის ფხალი, ჭინჭარი, **ნაცარქათამა,** ასევე - ღვეზელები, რომლებიც, ხაჭაპურის მსგავსად, პურის ცომში ცხვება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სვანები ნივრითა და წიწაკით შეკმაზულ **ქერის ნახარშს (ლუცფექი)** და ქერის ფქვილით შეზავებულ ჭინჭრის წვნიანს **(ხარშილი).** ამ კერძებს სამკურნალოდაც იყენებენ.

- ვინც ამ ნახარშს ათჯერ შეჭამს, იმ წელიწადს ავად არ გახდება! - იცინის დიტოს დედა, რომელმაც მარტომ, არავის დახმარების გარეშე, მოამზადა ეს უგემრიელესი კერძები.

თითქმის ყველა კერძი შეზავებულია სვანური მარილით, რომელიც წარმოადგენს სუფრის მარილის, წიწაკისა და **მრავალრიცხოვანი სურნელოვანი** მცენარეების დანაყილ

ნარევს. სვანური მარილით დამზადებული კერძები გამოირჩევიან **ზომიერი სიცხარითა** და განსაკუთრებული სურნელებით. სვანურ მარილს ცალკეც მიირთმევენ - პურზე კარაქი და მერე სვანური მარილი - უგემრიელესია!.

სვანეთში კერძებს ადგილობრივი ნატურალური პროდუქტებისაგან ამზადებენ, რის გამოც ისინი **არომატულობითა** და უმაღლესი **ეკოლოგიურობით** გამოირჩევიან

სვანეთში ვაზი არ ხარობს, ამიტომ ღვინოს ბარიდან ეზიდებიან. სასმელად უმეტესად იყენებენ ადგილობრივი ხილისაგან გამოხდილ არაყს.

ჯერ ენგურის გრანდიოზული კაშხლის, შემდეგ ჯვრის წყალსაცავის, ბოლოს კი მესტიის დიდებული ხედების **ხილვით** გადაღლილ ბიჭებს **ძილი მოერიათ.** ძალიან დაიღალნენ დღეს: საჭიროა, ხვალისთვის ძალები მოიკრიბონ...

მესტია

- მოდით, ბიჭებო, პირველ რიგში, ჩვენს კოშკს დაგათვალიერებინებთ! მერე ცენტრში გავიდეთ და სხვა კოშკებიც ვნახოთ! მესტიაში ბევრი გვაქვს სანახავი - **მოვიაროთ,** რასაც მოვასწრებთ, თორემ, ხომ იცით, მთაში ადრე ღამდება! - ამბობს დიტო.

ლაშა და გიორგი სიხარულით გაჰყვნენ მასპინძელს. დიტომ, სანამ კოშკში შევიდოდნენ, მცირე ცნობები მიაწოდა ბიჭებს სვანური კოშკების შესახებ:

- სვანური კოშკი - სვანეთში გავრცელებული **თავდაცვითი ნაგებობაა.** ჩვეულებრივ, სვანური კოშკი 20-25 მეტრი სიმაღლისაა. შედგება 4-5, ან იშვიათად 6 სართულისგან. ქვედა სართული, რომლის კედლები 1,5 მეტრამდე სისქისაა, მეტწილად **ყრუა,** შესასვლელი მეორე სართულის დონეზეა მოწყობილი.

კოშკების უმრავლესობა კვადრატული ფორმისაა, ძირში უფრო **ფართო,** ხოლო სიმაღლეში - **შევიწროვებული.**

- რა დანიშნულება ჰქონდათ კოშკებს? - იკითხა ლაშამ.

- კოშკებს, როგორც ციხესიმაგრეებს, დამცველობითი ფუნქცია ჰქონდათ. მტერი ხშირად ესხმოდათ თავს სვანებს - როგორც ჩრდილოეთიდან - ისე - სამხრეთიდან... ამიტომ უამრავი კოშკი შენდებოდა... ყველა ოჯახს საკუთარი კოშკი ჰქონდა. ბევრი კოშკი დაინგრა საუკუნეთა განმავლობაში, თუმცა, მაინც ბევრი კოშკი გვაქვს სვანეთში... ამიტომაც გვიწოდებენ „ათასი კოშკის მხარეს“! - იღიმება დიტო.

- აი, შეხედეთ ფანჯარას: ის ჩანაცვლებულია გარედან ვიწრო, ხოლო შიგნიდან ფართე ჭრილით. ასეთი ფორმის „ფანჯარა“ ხელსაყრელი იყო იმისათვის, რომ კოშკიდან მტრისთვის ტყვიასთან ერთად დაეშინათ ქვები, ხოლო გარედან ტყვიის მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

სართულები შიგნით ერთმანეთთან გადასატანი ხის კიბეებითაა დაკავშირებული. გვირგვინით დასრულებული კოშკის უკანასკნელ სართულზე მოწყობილია საბრძოლო ბაქანი. გადახურულია **ორფერდა** სახურავით. აღჭურვილია **სათოფურებით.**

- რა მასალას იყენებდნენ სვანები კოშკების ასაშენებლად? - იკითხა გიორგიმ.

- სვანურ კოშკს აგებდნენ **რიყის** ქვითა და ლოდებით, იყენებდნენ **ფიქალსაც** (მაგალითად, უშგულში). კოშკებს გარედან ლესავდნენ იშვიათი **სიმტკიცის ბათქაშით.** სვანური კოშკი ან საცხოვრებელ სახლთანაა დაკავშირებული, ან ცალკე დგას. ჩვენი კოშკი, როგორც ხედავთ, სახლთანაა დაკავშირებული... - სერიოზული სახით უწევს გიდობას დიტო ლაშას და გიორგის...

- მართლა, თქვენ იცით, რომ სვანური კოშკები **იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს** წარმოადგენს? - სიამაყით უყვება ბიჭებს დიტო.

- არა, ნამდვილად არ ვიცოდით! - ერთხმად წამოიძახეს ბიჭებმა.

- თუმცა, ამისთანა საოცრება როგორ არ უნდა იყოს იუნესკოს **დაცვის ქვეშ!** - აღნიშნა ლაშამ.

ლაშა და გიორგი უკან დაჰყვებოდნენ დიტოს. ხის კიბეებით ავიდნენ ყველა სართულზე; კოშკის ბოლო სართულზე მოწყობილია საბრძოლო ბაქანიც მოინახულეს. ულამაზესი ხედი გადაეშალათ: თოვლიანი მწვერვალები, ცისფერი ცა, მთელი მესტია მოჩანდა ამ მაღალი კოშკიდან...

- ბიჭებო, სვანეთის შესახებ თუ გსმენიათ რამე? იცით მისი ისტორია?

- ცოტა რამ ჩვენც ვიცით! აი, ოქროს შეგროვების სვანური წესის შესახებ გაგვიგია! - იღიმება გიორგი.

- კიდევ ბევრ რამეს გაიგებთ სვანეთზე! - იცინის დიტო, - მოდი, ჯერ ისტორიით დავიწყოთ: ყველაზე **ადრეული** ცნობა სვანების შესახებ გვხვდება ბერძენ ისტორიკოს **სტრაბონთან** (ძვ. წ. აღ.64 /63.ა.წ.აღ23/24წწ.). სტრაბონის ცნობით, სვანები 1 საუკუნეში ,,დიოსკურიის მთიანეთში მცხოვრებ ტომთაგან" აღემატებოდნენ მეზობელ ტომებს ძლიერებით.

ცნობილია, რომ სვანები თავდაპირველად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი, ისინი წინათ ლეჩხუმისა და რაჭის მნიშვნელოვან ნაწილსაც ფლობდნენ. სვანები ცხოვრობდნენ დღევანდელი სამეგრელოს გარკვეულ ტერიტორიაზეც.

ადრეულ საუკუნეებში სვანეთი კოლხეთის, შემდეგ კი ეგრისის სამეფოების **შემადგენელი ნაწილი** იყო. ძვ.წ. IIIს-ის პირველ ნახევარში, მეფე ფარნავაზის მეფობისას, სვანეთი ქართლის სამეფოს **საერისთავო** იყო. IV საუკუნეში იგი **ლაზეთის** სამეფოს მოკავშირე გახდა და ხშირად მონაწილეობდა სამეფოს საზღვრების დასაცავად წარმოებულ ლაშქრობებში.

სვანეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ჯერ კოლხეთის, შემდეგ ეგრისისა და აფხაზეთის (და საქართველოს) სამეფოების **შემადგენლობაში შედიოდა,** ბოლოს ფეოდალურ მონარქიაში კი - როგორც საერისთავო. ზემო სვანეთი ბალის ქედით იყოფოდა ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთად. ბალს ქვემო სვანეთი **დადეშქელიანების** სამფლობელი იყო, ბალს ზემო სვანეთი კი თავისუფალ სვანეთად იწოდებოდა. მე-16-ე საუკუნეში სვანეთის საერისთავო დაიშალა და ბალის ქედის ქვემოთ შეიქმნა დადეშქელიანთა სამთავრო, რომელშიც შედიოდა **კოდორის** - იგივე **დალის ხეობა** (ეს ხეობა დღეს რუსეთის მიერ **ოკუპირებული** აფხაზეთის შემადგენლობაშია), ხოლო ბალს ზემოთ ხევები ცალკეულ თემებად დაიშალა, თუმცა, ბატონი არასოდეს ჰყოლიათ.



სვანებმა ქრისტიანობა ლაზიკასთან ერთად 523 წელს მიიღეს; სვანებისათვის სალიტერატურო ენად იმთავითვე საერთო ქართული ენა ითვლებოდა. მაგრამ ოჯახში ურთიერთობის ენა სვანურია. სვანური ენა (სვანურად - ლუშნუ ნინ) — იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის **ქართველურ ენათა ჯგუფის** ენაა.

სვანები და მისი დიდებულები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით კი მის ოქროს ხანაში (დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს).

- ისე, ამდენს რომ ვლაპარაკობ, ამ ყველაფერს ერთად ვნახავთ მუზეუმში! - შესთავაზა დიტომ ბიჭებს. რასაკვირველია, ლაშა და გიორგი სიამოვნებით დაეთანხმნენ.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 1936 წელს დაარსდა და მესტიაში მდებარეობს. მასში დაცულია: სვანეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები; ქართული ჭედური ხელოვნებისა და **ხატწერის** უნიკალური ნიმუშები; უძველესი ხელნაწერები; ადრეული და გვიანი შუა საუკუნეების საომარი აღჭურვილობის, რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობების, სამკაულების, ჭურჭლის, ქსოვილების ნიმუშები; ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 4090 ექსპონატია – **ჰადიშის ოთხთავიდან** დაწყებული, ძველი სვანური **ქსოვილის** ნიმუშებითა და ჭურჭლით დამთავრებული. აქ დაცულია სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, ქართული **ჭედური ხელოვნებისა** და ხატწერის უნიკალური ნიმუშები; უძველესი **ხელნაწერები;** ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების საომარი აღჭურვილობის, რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობების, სამკაულების, ჭურჭლის, ქსოვილების ნიმუშები; ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.

2015 წელს მუზეუმს საგანმანათლებლო ცენტრი და მედიათეკა შეემატა. გარდა აღნიშნულისა, მუზეუმში წარმოდგენილია **დროებითი საგამოფენო სივრცე,** რომელშიც სხვადასხვა ხასიათის გამოფენა ეწყობა. 6 დარბაზი კი - **მუდმივ ექსპოზიციას** ეთმობა.

ძნელად მისადგომი ზემო სვანეთი ძველად საქართველოს **განძთსაცავის** ფუნქციას ასრულებდა. **ომიანობის** დროს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ საეკლესიო თუ საერო ნივთებს მთებში **საგულდაგულოდ** მალავდნენ. ასე შემოინახა სვანეთმა უნიკალური ხატები, უძველესი ხელნაწერები და სხვა **რელიკვიები,** რომლებიც დღეს სვანეთის ეკლესიებსა და მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

ლაშა, გიორგი და მათი მასპინძელი დარბაზიდან დარბაზში გადადიოდნენ და დიდი ინტერესით ისმენდნენ გიდის ნაამბობს. მართლაც საოცარი, იდუმალი მხარეა სვანეთი და მისი გული - მესტია!

- ახლა კი, მოდით, თანამედროვეობასაც გავეცნოთ! - იღიმება დიტო, - დღეს მესტია ერთ-ერთი გამორჩეული კურორტია და ტურისტების ზღვა რაოდენობა სტუმრობს სვანეთს როგორც ზაფხულში, ასევე - ზამთარშიც!

- ზამთარში? აქ? ამ სიცივეში? - უკვირს ლაშას.

- დიახ, ზამთარში! - ეღიმება დიტოს, - მესტია ზამთარშიც საინტერესოა! სვანეთში ცივი და **უხვთოვლიანი** ზამთარი იცის. საუკუნეების განმავლობაში მესტიისკენ მიმავალი ერთადერთი გზა ნოემბრის ბოლოდან აპრილის შუა რიცხვებამდე თოვლით იფარებოდა, რის გამოც სვანეთი **თვეობით** იყო **მოწყვეტილი გარე სამყაროს.** ზუგდიდი-მესტიის გზის რეკონსტრუქციამ ეს პრობლემა გადაჭრა - ახლა მესტიაში ასვლა მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

მესტიიდან 7 კილომეტრში მდებარეობს სათხილამურო კურორტი **ჰაწვალი.** მისი მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2348 მეტრია, ხოლო მინიმალური 1868 მეტრი. აქ მოხვედრა მესტიიდან ძალიან სწრაფად და მარტივად შეიძლება.

ჰაწვალს მესტიასთან აკავშირებს როგორც **მოასფალტებული** სამანქანო გზა, ისე 6 ადგილიანი საბაგირო. ზაფხულში მესტია - ჰაწვალის დამაკავშირებელი საბაგირო არ მუშაობს და თუ იქ ასვლას დავაპირებთ, ავტომობილით მოგვიწევს მისვლა კურორტზე.

ზამთარში გზა იწმინდება და აქ მოხვედრა შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ავტომობილით თუ იგი მომზადებულია თოვლზე სასიარულოდ.

ძალიან პოპულარული სამთო კურორტია **თეთნულდი.** ის მესტიიდან ცოტა მოშორებითაა - თეთნულდის მწვერვალის მისადგომებთან. მესტიიდან კურორტ თეთნულდამდე, ზამთრის სეზონზე საჭიროა **მაღალი გამავლობის ავტომობილი,** უბრალო მანქანით იქ ვერ ავალთ! სამაგიეროდ, თეთნულდი სამოთხეა **მოთხილამურეებისათვის: სათხილამურო** ტრასის მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 3160 მეტრია, ხოლო მინიმალური - 2260 მეტრი. კურორტ თეთნულდის სავიზიტო ბარათია

მუდმივად ახალი, უხვი და ხარისხიანი თოვლი, **გაუკვალავ** თოვლში სრიალის მოყვარულთათვის. ასევე მისი მდებარეობა: ხედები დიდებულ მწვერვალებზე - მწვერვალი უშბა და მწვერვალი თეთნულდი. მრავალფეროვანი გარემო სხვადასხვა სტილის სრიალის მოყვარულთათვის და უბრალოდ ბევრი თავგადასავალი... მოკლედ - მესტია უახლოეს მომავალში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სამთო-სათხილამურო კურორტად ჩამოყალიბდება!

- როგორ მიყვარს თხილამურები! აუცილებლად ჩამოვალთ მე და ლაშა ამ ზამთარს სვანეთში! მიგვიღებ? - წამოიძახა გიორგიმ.

- არ გრცხვენიათ, ბიჭებო? რას ნიშნავს - „მიგვიღებ“? - ჩემი სახლი - თქვენი სახლია! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! - იცინის დიტო, - ჩვენ, სვანებს, დიდი ტრადიციები გვაქვს! მეგობრის ერთგულება, სტუმრის პატივისცემა - ნებისმიერი სვანის უპირველესი მოვალეობაა! ისე, თუ იცით თქვენ, რომ სვანეთში უძველესი დროიდან საკუთარი სამართლის წესები ჰქონდათ და ლამის მეოცე საუკუნემდე მოაღწია ამ წესებმა?

- არა, რა წესები? მოგვიყევი, რა! - დაინტერესდნენ ბიჭები.

- საქართველოს მთაში ძველთაგანვე არსებობდა **თემის ინსტიტუტი,** რომელსაც **ხევისბერი** მეთაურობდა. ხევისბერს ხევსურეთში **ხუცს** უწოდებდნენ, თუშეთში – **დეკანოზს,** სვანეთში – **მახვშს.**

სვანეთში დამკვიდრებული იყო თემის მმართველობის მეტად დემოკრატიული ფორმა: მახვშს, ანუ თემის მეთაურს თემის საერთო კრება ირჩევდა. კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა ქალსაც და კაცსაც. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალის როლი ისტორიულად ძალიან სუსტი იყო ქვეყნის მართვაში... ჩვენთან კი ქალი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო!

მახვში გამოირჩეოდა გონიერებით, დარბაისლობით, სამართლიანობით, სისპეტაკით. იგი იყო ცხოვრებაში ქრისტიანული წესების გამტარებელი, მშვიდობიანობის დროს - მოსამართლე, ხოლო ომიანობაში - ჯარის **წინამძღოლი.**

საგანგებო შემთხვევებში იმართებოდა თემთა გაერთიანებული შეკრება – ხევის ყრილობა, სადაც საკითხი ხმათა უმრავლესობით წყდებოდა. ყრილობაზე განიხილებოდა ხევის **საჭირბოროტო** საგარეო და საშინაო პრობლემები, მეზობლებთან გამწვავებული ურთიერთობის საკითხები, მოსალოდნელი ომიანობისათვის სამზადისი და თავდაცვის სტრატეგია, მსხვილი ეკლესიების, საფორტიფიკაციო ნაგებობების, გზების, ხიდების და სხვათა მშენებლობისა და მათში თემების მონაწილეობის საკითხები. ყრილობა მსჯელობდა სვანებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის **ასპექტებზეც:** არჩევდა, ვინ იყო მტყუანი, ვინ - მართალი და აწესებდა **სასჯელის** ფორმებსა და ნორმებს. ყრილობა სამართლის უმაღლესი ორგანო, იგი არავის წინაშე არ იყო ანგარიშვალდებული, ყრილობის გადაწყვეტილება საბოლოო იყო! მახვშის ინსტიტუტი რომ არა, ალბათ სვანების დიდი ნაწილი ერთმანეთს დახოცავდა!

- რატომ? - გაუკვირდა ლაშას.

- ტრადიცია შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც! - გააგრძელა დიტომ, - სვანეთში არსებობდა **სისხლის აღების** ტრადიცია, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სვანების

რეპუტაციას... ისე, ეს ტრადიცია მრავალ მთიან მხარეში არსებობს, მაგრამ, რატომღაც ჩვე, სვანები „დაგვჩაგრეს“ და ათას ტყუილსა და დეზინფორმაციას მოგვაწერდნენ! - ეღიმება დიტოს, - ისე, საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როცა მოკლული ძმის შურის საძიებლად ერთი ოჯახი მეორე ოჯახს სამაგიეროდ უკლავდა რომელიმე წევრს... და ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში... მხოლოდ მახვშსა და ყრილობას შეეძლოთ შეეწყვიტა ხანგრძლივი, დროში გაწელილი სისხლისღვრა! სხვათა შორის, დღემდეა შემორჩენილი ოჯახებში მახვშის სკამები - სავარძელი, რომელშიც დაბრძანდებოდა მახვში და უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა...

- ძალიან საინტერესოა... დღემდეა შენარჩუნებული ეს ტრადიციები? - იკითხა გიორგიმ.

- არა, დღეს სვანეთი ცივილიზებული მხარეა... თუმცა, სვანებს ძალიან უყვართ თავიანთი ისტორია, ტრადიციები, აი, ხვალ, თუ გინდათ, წავიდეთ და მოვინახულოთ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი...

- წავიდეთ, წავიდეთ! - აყვირდნენ ბიჭები.

გადაწყდა, რომ მეორე დღეს წავიდოდნენ უშგულში, სადაც მდებარეობს ლამარიას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

ევროპის უმაღლესი დასახლებული პუნქტი

- ახლა ჩვენ მივდივართ ევროპის უმაღლეს დასახლებულ პუნქტში! - თქვა დიტოს მამამ, ძია სოზარმა, როცა ბიჭები მანქანაში ჩაუსხდნენ.

- როგორ? ევროპაში, შვეიცარიაში ამაზე მაღალი სოფლები და კურორტები არ არის? - გაოცდნენ ლაშა და გიორგი.

- შვეიცარიაში - ნამდვილად არა! აი, საქართველოში გვყავს კონკურენტი... 2345 მეტრზეა სოფელი **ბოჭორნა,** თუშეთში, **გომეწრის** ხეობაში. მაგრამ იქ ერთადერთი მუდმივი მაცხოვრებელია და ამიტომ, **უშგული** მაინც ინარჩუნებს პირველობას...

უშგულის სიმაღლე 2060–დან 2200 მეტრამდე მერყეობს. იგი მწვერვალ **შხარას** ძირშია განლაგებული; ის უნიკალური სოფელია, დიდი ისტორიით და ტრადიციებით.

უშგულის თემი შედგება 4 სოფლისგან **(ჟიბიანი, ჩვიბიანი, მურყმელი, ჩაჟაში)** და მისი სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 2060 მეტრიდან 2200 მეტრამდე. თემის ცენტრი - სოფელი ჩაჟაში მუზეუმადაა გამოცხადებული და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

სვანეთის სილამაზისა და საინტერესო ადგილების გასაცნობად ერთ-ერთი საუკეთესო მარშრუტია **ხალდედან** უშგულში გადამავალი გზა. ხალდე ძალიან საინტერესო ისტორიული ადგილია: მე-19 საუკუნეში აქ დიდი უბედურება დატრიალდა: სვანეთში რუსული მმართველობის დაწესების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა სვანეთის მიწებისა და **პირუტყვის აღწერა-რეგისტრაცია.** სვანებმა, რომლებსაც ბატონი არასოდეს ჰყოლიათ, მოიწვიეს ყრილობა და დაიფიცეს, არ დამორჩილებოდნენ რუსი იმპერატორის ამ გადაწყვეტილებას. 2000-მა შეიარაღებულმა სვანმა გადაკეტა სვანეთში შესასვლელი ყველა გზა და ბილიკი. ხელისუფლება შეშინდა, **დათმობაზე წავიდა** და შეაჩერა

გადაწყვეტილება. მაგრამ 1876 წელს სვანეთში ჩუმად შეიყვანა ჯარი და სოფელ ხალდემდე წესრიგი დაამყარა. ხალდეში კი ორმოცდაათამდე სვანი კოშკებში გამაგრდა და არ აპირებდა დანებებას... რუსებმა სოფელი ალყაში მოაქციეს. ექვსი დღეს გაუძლო ალყას გმირმა სოფელმა. რუსებმა დაანგრიეს ხალდეს თერთმეტივე კოშკი, ყველა შენობა, გადაწვეს ყანები და ხალდე მიწასთან გაასწორეს!

საშიში და, ამავდროულად, გასაოცარი გზა ბიჭებმა **სუნთქვაშეკრულებმა** გაიარეს. ძალიან ამაყობენ, რომ, მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, შეძლებენ ესტუმრონ სვანეთის სიამაყეს - უშგულს!

უშგულის მონახულების შემდეგ, დიტომ ბიჭები ღვთისშობლის სახელობის ეკლესიისკენ წაიყვანა, რომელიც უშგულის ჩრდილოეთით, ამაღლებულ ბორცვზე

მდებარეობს. ეკლესიას ირგვლივ ზღუდე აქვს შემოვლებული, გამაგრებული კოშკით. იგი IX-X საუკუნეებში ააშენეს. ბაზილიკური ტიპის ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს.

უშგულის ლამარია სვანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალი კულტურული - **ისტორიული ღირებულების** მქონე ძეგლია. ტაძრის უძველესი **ფრესკები** მე-10 საუკუნისაა, თუმცა, ბოლოს ფრესკები XIII ს.-ში აღუდგენიათ. **საყურადღებოა** ისტორიული მნიშვნელობის **ნაკაწრი წარწერები,** რომლებიც ეკლესიაში მისული მლოცველების მიერაა ამოკაწრული. წარწერები შესრულებულია ასომთავრულით, ნუსხურითა და მხედრულით.

28 აგვისტოს აქ იმართება ხოლმე ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი დიდი დღესასწაული, ე.წ. ლამარიობა (მარიამობა).. ეს დღესასწაული ძალიან საინტერესოა იმით, რომ აქ შერწყმულია ქრისტიანობამდელი უძველესი რელიგიისა და ქრისტიანობის ელემენტები.

- რატომ ჰქვია ტაძარს ლამარია? ღვთისმშობელს ხომ მარიამი ერქვა? - დაინტერესდა გიორგი.

- ჰოოო... ეს ძალიან საინტერესო საკითხია... - დაფიქრებულმა უპასუხა დიტომ, - ბევრი რამე მეც არ ვიცი, თუმცა, ის კი გამიგია, რომ ქრისტიანობამდე სვანები მრავალ ღმერთს

ეთაყვანებოდნენ... იცით ალბათ, რომ დღეს საქართველოში ყველაზე პოპულარული წმინდანია **წმინდა გიორგი. წარმართულ ხანაში** ქართველები, მათ შორის - სვანებიც, ეთაყვანებოდნენ მთვარის ღმერთს - თეთრ გიორგის (სვან. ჯგირაგ). ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ წმინდა გიორგიმ „დაიკავა“ თეთრი გიორგის - მთვარის ადგილი... აქ, ისევე, როგორც ზოგადად საქართველოს მთიან რეგიონებში, ერთმანეთს **ერწყმის** წარმართული და ქრისტიანული **რიტუალები!**

ლამარია მარცვლეულის ნაყოფიერების, მეწველი საქონლისა და ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღმერთი იყო. ქრისტიანობის შემოსვლამ ლამარიასაც შეუცვალა სახელი და მის ნაცვლად იესო ქრისტეს დედის - მარიამის სახელი ეწოდა ტაძარს, თუმცა, ძველი ლამარიაც შემორჩა!

სვანეთში ყველაზე პოპულარული იყო ნადირობის ქალღმერთი დალი. სვანების წარმოდგენაში დალი ცხოვრობს მიუვალ კლდეებში, საიდანაც ეშვება მისი ოქროს თმები. მას შეუძლია ადამიანს გამოეცხადოს ცხოველის ან ფრინველის სახით. დალი საუკეთესო სვან მონადირეებს ნადირობაში ეხმარებოდა.

ნადირობას სვანებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც ძალიან პოპულარულია. მთელი რიტუალი იყო ჩასატარებელი **სანადიროდ** წასვლამდე: მონადირე ნადირობამდე აუცილებლად **მარხულობდა;** მონადირის და თმას არ ივარცხნიდა, სანამ მისი ძმა არ დაბრუნდებოდა სახლში და ა.შ.

ბიჭები უკვე მიუახლოვდნენ ლამარიას ტაძარს. ახლა სექტემბერია და ბევრი ხალხი არ იყო ტაძარში, თუმცა, ყოველი წლის 28 აგვისტოს ტაძარი **მომლოცველებითაა** სავსე. მარიამობის დღესასწაულზე სვანები დილიდან იწყებენ **შესაწირით** მისვლას. ყველა ოჯახში ცხვება ყველისგან დამზადებული **ლემზირი:** ეს აუცილებელია ლამარიობის დიდებული დღისთვის... ოჯახის უფროსი კლავს საკლავს, მზადდება ნაირგვარი საჭმელი და მთელი ოჯახი მიდის ეკლესიაში...

ძირითადი რიტუალი მაინც სახლებში ტარდება. მარიამობას თითოეულ ოჯახში იშლება ზღაპრული სუფრა: მოიხსენიებენ ოჯახიდან წასულ ყველა მიცვალებულს, ადღეგრძელებენ ცოცხლებს...

* * *

ლაშა, გიორგი და დიტო დატკბნენ ულამაზესი ხედებით, დიდხანს **იძრომიალეს** ლამარიას ტაძარს გარს შემოვლებულ გალავანზე და დაღლილ-დაქანცულები, კმაყოფილები დაბრუნდნენ მესტიაში.

ჩვენ ალპინისტები ვართ!

- დღეს ალპინისტურ ბანაკ ზესხოში მივდივართ! ძალიან მიხარია! - ეუბნება გიორგი ლაშას.

- უშბას რომ ვუყურებ ყოველ დილას, მგონია, რომ იოლად მოვახერხებ ამ უმშვენიერეს მწვერვალის დაპყრობას! - უპასუხა ლაშამ.

- რას ამბობ, ლაშა! - გაეცინა დიტოს, - უშბას სახელი, იცი, რას ნიშნას სვანურად? „ავი მთა“... და იცით, რატომ?

- რას ამბობ! ეს ულამაზესი მთა ავი რატომ არის? - დაინტერესდნენ ბიჭები.

- კარგი... მოდი, თავიდან დავიწყებ: უშბა არ არის ყველაზე მაღალი მწვერვალი სვანეთში, მაგრამ სირთულის მიხედვით ყველაზე ძნელი მარშრუტია მის მწვერვალზე ასასვლელად. ეს

ორთავიანი გოლიათი ბევრი გამოცდილი ალპინისტის სიკვდილის ადგილია. რამდენიმე წლის განმავლობაში უშბაზე **ცოცვა** აიკრძალა კიდეც!

უშბას, როგორც უკვე გითხარით, 2 მწვერვალი აქვს: ჩრდილოეთი მწვერვალი ზღვის დონიდან 4690 მეტრ სიმაღლეზეა. პირველი ადამიანი, ვინც ამ მწვერვალს მიაღწია, 1888 წელს ავიდა. გამოცდილი მთამსვლელი **ჯონ გარფორდ კოკლინი** გახდა პირველი ადამიანი, ვინც ავიდა ჩრდილოეთ მწვერვალზე.

სამხრეთის მწვერვალი ჩრდილოეთის მწვერვალზე მხოლოდ 20 მეტრით მაღალია. პირველი, ვინც ამ მწვერვალს 1903 წელს მიაღწია, იყო მსოფლიო დონის ექსპედიცია, რომელსაც **უილი რიკმერ-რიკმერსი** ხელმძღვანელობდა. 1937 წლამდე ქართველი მთამსვლელები ოცნებობდნენ უშბის დაპყრობაზე. უშბის მწვერვალებისკენ მიმავალი გზა რთულია, რადგან მთამსვლელებს ხშირად უწევთ რთული ფერდობების გადალახვა. ხოლო

მთის ჩრდილოეთიდან შეგიძლიათ დააკვირდეთ მხოლოდ თვითმფრინავს ვერტიკალურ მდგომარეობაში. მას „უშბის სარკეს“ უწოდებენ. პირველი ქართველი, ვინც წარმატებით გადალახა „სარკე“ - **ბესარიონ ხერგიანი** - **მიხეილ ხერგიანის** მამა იყო.

- ვინ იყო მიხეილ ხერგიანი? იკითხა ლაშამ.

- სვანეთი ამაყობს მისი სახელგანთქმული სპორტსმენებით. სპორტის ისტორიაში შევიდა ისეთი ალპინისტების სახელები, როგორიცაა: **ბესარიონ, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანები, გიო ნიგურიანი, ილიკო გაბლიანი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკა ჩართოლანი** და სხვა. მაგრამ მიხეილ ხერგიანის სახელი მსოფლიოში იყო ცნობილი... ის ბრიტანეთის დედოფალსაც კი შეხვედრია!

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ალპინიზმსა და **კლდეზე ცოცვაში,** მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი დაიბადა დაბა მესტიაში 1932 წლის 25 მარტს. მამამისი, ბესარიონ ხერგიანი, საბჭოთა კავშირში ერთ–ერთი პირველი და ცნობილი მთამსვლელი იყო, რომელმაც 1937 წელს, თავის ძმასა და ბიძაშვილთან ერთად მწვერვალი უშბა **დალაშქრა.** მიხეილიც ამ **გარემოცვაში** იზრდებოდა. ბავშვობიდან ესმოდა საუბრები მთამსვლელთა ცხოვრების შესახებ, თავადაც სულ კლდეებზე დაცოცავდა. ზამთარში თხილამურებზე სრიალებდა და ქართული ჭიდაობაც კარგად ეხერხებოდა. მესტიის საშუალო სკოლის 9 კლასი დაამთავრა თუ არა, გულმა მწვერვალების **დასაპყრობად** გაუწია. 14 წლის ასაკში მიიღო პირველი ჯილდო, **სამკერდე ნიშანი** „საბჭოთა კავშირის პირველი კატეგორიის ალპინისტი“. შემდეგ მთამსვლელ ინსტრუქტორთა სკოლაში განაგრძო სწავლა და ამან მისი არჩევანიც განსაზღვრა – ხერგიანმა თავისი ცხოვრება განუყრელად დაუკავშირა მთამსვლელობასა და კლდეზე ცოცვას.

1952 წლიდან მუშაობდა ინსტრუქტორად ალპინისტთა ბანაკ „მეტალურგში“, შემდეგ ხელმძღვანელობდა მაშველთა ჯგუფ „სპარტაკს“. 1955 წელს პამირში, აკადემიის ქედზე, ქართველმა მთამსვლელებმა დაიპყრეს რევოლუციის (მოლოტოვის „პრავდის“) პიკი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, 23 აგვისტოს, ჯგუფი **ი. კახიანის** ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდნენ: **მ. ხერგიანი, ლ. ახვლედიანი** და **ჯ. მეძმარიაშვილი,** გაემართა სსრ კავშირის უმაღლესი მწვერვალის კომუნიზმის (სტალინის) პიკის დასაპყრობად. პიკის სიმაღლე 7495 მეტრია და მთამსვლელებმა ახალი გზით, სამხრეთიდან მოახერხეს მწვერვალის დაპყრობა. დღეს ეს გზა მთამსვლელთა ტერმინოლოგიაში ,,ქართველთა გზის'' სახელითაა ცნობილი და ერთ–ერთ რთულ გზად ითვლება. ამ საოცარი ასვლის გამო პირველი ოქროს მედალი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული ჯგუფთან ერთად მიხეილ ხერგიანმაც მიიღო. საბჭოთა კავშირში მიხეილ ხერგიანს ბადალი არ ჰყავდა. 1955, 1956, 1964 წლებში იგი სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი ალპინიზმში. ხერგიანის კლდეზე ცოცვის მოქნილი, სხარტი ტექნიკა პოპულარული იყო როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში. მასზე ამბობდნენ: „კლდეზე კი არ ადის, ცეკვავსო“. გამოირჩეოდა **პიროვნული თვისებებითაც:** ერთგული, კეთილშობილი და მეგობრების მოყვარე ცნობილი იყო, როგორც სვანეთში, ისე რუსეთსა და ევროპაში. ალპინისტურ სამყაროში მას „კლდის ვეფხვის“ სახელით მოიხსენიებდნენ და ეს წოდება სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ ხერგიანს 1960 წელს ოფიციალურად მიენიჭა. „ფანტასტიკურია! მისი ცოცვის ტექნიკა უზადოა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მისი ხელებისა და ფეხების ქვეშ კლდეები ცოცხლდება“ – აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ევროპელები ხერგიანის მიერ **უელსში, სნოუდონის** კლდეებზე ურთულესი მარშრუტის გავლისას, საფრანგეთში **გრანკაპუცინის** თუ **პტი–დრიუს** სარეკორდო ასვლების შემდეგ. 1965 წელს ხერგიანმა ყველა დროის საუკეთესო მთამსვლელის ტიტული დაიმკვიდრა. ამავე წელს, კლდეზე ცოცვაში საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატზე, თბილისის კლდეზე მცოცავთა გუნდი, მიხეილ ხერგიანის მონაწილეობით, საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და ოქროს მედლების მფლობელი გახდა.

ხერგიანისა და მისი **გულშემატკივრებისათვის** მოულოდნელი და უსიამოვნო აღმოჩნდა ვერცხლის მედალი 1968 წელს იალტაში გამართულ ჩემპიონატზე. ამ შედეგმა

ხერგიანზე ისე იმოქმედა, რომ **დაჯილდოებაზე** არც კი მივიდა. რა თქმა უნდა, **წარუმატებლობას** თავისი მიზეზიც ჰქონდა, თუმცა ამის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის არაფერი იყო ცნობილი. კერძოდ, ხერგიანს მონაწილეობა უნდა მიეღო იტალიაში გამართულ შეჯიბრში, მაგრამ, ერთი თვე ვიზის მოლოდინში მოსკოვში **აყურყუტეს,** საბოლოოდ კი ვიზა მაინც არ მისცეს. **იმედგაცრუებული** და ერთი თვის მანძილზე ვარჯიშს მოწყვეტილი ხერგიანი აღარ აპირებდა იალტის ჩემპიონატზე წასვლას, მაგრამ **თანაგუნდელების** ხათრით ასვლა მაინც განახორციელა...
1969 წელს, იტალიაში გამგზავრების წინ, ხერგიანი კვლავ იალტაში ჩავიდა. მეგობრებმა შენიშნეს, რომ იგი საკმაოდ დაღლილი ჩანდა. აღმოჩნდა, რომ ხერგიანი მთელი ზამთარი ავადმყოფობდა, თუმცა ვერავინ გაბედა მისთვის იმის თქმა, რომ იტალიაში გამგზავრება გადაეფიქრებინა. იგი, როგორც ნამდვილი კლდის ვეფხვი, ისე იწევდა იტალიის მთებისკენ, რომ შინ ტრიუმფით დაბრუნებულიყო.
1969 წლის ივლისში ხერგიანი მოსკოვიდან იტალიაში გაემგზავრა და **ვიაჩესლავ ონიშჩენკოსთან** ერთად რეკორდულ დროში, სამ საათში **ტორევენეციის** 300 მეტრიან კლდეზე აცოცდა. ექვს საათში დაძლია 700 მეტრი სიმაღლის **ბანკოტის კედელი,** მაგრამ მესამე ასვლა, დოლომიტებში **ჩივეტას** მასივის მწვერვალ **სუ-ალტოზე** მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: 800 მეტრი სიმაღლის კლდიდან დაიწყო ქვის ცვენა. ერთ–ერთმა ქვამ ალპინისტის თოკი გაწყვიტა, მეორე, დამცავი თოკი კი, ხერგიანს არ ჰქონდა. ასე დასრულდა კლდის ვეფხვის სიცოცხლე...
1969 წლის 8 აგვისტოს **ნოვოსიბირსკის** მთამსვლელთა კლუბის „ვერტიკალის“ წევრებმა თურქესტანის ქედზე მდებარე 4960 მეტრი სიმაღლის მწვერვალს „მიხეილ ხერგიანის“ სახელი უწოდეს. 1971 წლიდან თამაშდება მისი სახელობის პრიზი კლდეზე ცოცვაში. მესტიაში გახსნილია ხერგიანის მემორიალური მუზეუმი, რომლის შექმნაში ოჯახთან ერთად მონაწილეობდა ყველა მისი მეგობარი ალპინისტი. მას სიმღერა უძღვნა **ვლადიმერ ვისოცკიმ,** ხოლო პოეტმა **ევგენი ევტუშენკომ** დაწერა ლექსი: „ხერგიანის თოკი“. 1978 წელს, მზის სისტემაში აღმოჩენილ მცირე პლანეტას ნომრით 3234 ხერგიანის სახელი მიენიჭა.

- მეც მინდა, კლდის ვეფხვი ვიყო! მეც მინდა ალპინისტობა! - ყვირის ლაშა... გიორგისაც უნდა ალპინისტობა, სვანეთში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ხომ სწორედ ეს არის: ბიჭები 3 დღით **ალპინისტურ ბანაკში** მიდიან!

სვანეთში **ფუნქციონირებს** რამდენიმე ალპინისტური ბანაკი, რომელებიც საშუალებას აძლევენ როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ ალპინისტებს რომ, შეიგრძნონ ის სიამოვნება რასაც მთაში აქტიური დასვენება ჰქვია.

ძალიან ძნელია უარი თქვა ასეთ სიამოვნებაზე თუკი ეს ერთხელ მაინც გაქვს გამოცდილი. ღამის კარავში გათენება, **გზის გაკვლევა** ისეთ მიდამოში სადაც ადამიანს ფეხიც კი არ აქვს დადგმული. 3 საათის გაუჩერებლად სიარულის შემდეგ, იმ დონეზე ხარ მისული რომ, სადაცაა, ჩაიკეცები, და ამ დროს ალპურ მინდორში **წამოწოლა** ნებისმიერ სასტუმროს საპრეზიდენტო ნომერში დასვენებას გირჩევნია!

ბიჭები ალპინისტთა ბანაკ „ზესხოში“ აპირებენ 3 დღის გატარებას და მათი მასწავლებელი იქ **ბიძინა გუჯაბიძე** იქნება. ბიძინა ცნობილი ქართველი მთამსვლელია: ევერესტის **დამპყრობელი!** უშბაზეც არაერთხელ არის ნამყოფი. სულ ახლახან, 2022 წელს, თავის ვაჟთან ერთად, 62 წლის ასაკში კიდევ ერთხელ დალაშქრა „ავი მთა“ - უშბა!

ბანაკი **ზესხო** დაარსდა 1978 წელს ცნობილი ქართველი ალპინისტის ჯოკია გუგავას მიერ, რომელიც ამავე პერიოდში ხელმძღვანელობდა ბანაკ **აილამას.**

აილამასგან განსხვავებით, ზესხო არ უნდა ყოფილიყო **ორიენტირებული** მხოლოდ პროფესიონალ ალპინისტებზე, მდიდარი ბუნება და ადგილმდებარეობა განაპირობებდა იმას, რომ ზესხოს სტუმრებს შორის იქნებოდნენ არა მხოლოდ პროფესიონალი, არამედ მოყვარული ალპინისტები და უბრალო დამსვენებლები.

ძალიან მალე ზესხო გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი **სამთო-ტურისტული** კურორტი ყოფილი სსრკ_ს ფარგლებში და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ტურისტების

რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა ბანაკის ზელძღვანელობა იძულებული გახდა საცხოვრებელი კოტეჯების გარდა, გამოეყენებინა კარვები, რომლებიც ბანაკის შუაგულში იყო გაშლილი.

90_იან წლებში, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნელეებიდან გამომდინარე, ბანაკი იძულებული გახდა მუშაობა დროებით შეეწყვიტა. თუმცა 2003 წლიდან მოყოლებული ბანაკი ყოველწლიურად იღებს აქტიური დასვენების მოყვარულებს.

სწორედ ასეთ კარავში იქნებიან მომდევნო 3 დღის განმავლობაში ლაშა და გიორგი, ბიძინა გუჯაბიძე კი შეასწავლის მთამსვლელობის ანაბანას! უუუჰ, რა საინტერესო დღეები ელით წინ!